პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 8 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 100 (798) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ბულგარეთის ფაშისტურ მთავრობის თავაშვებულობას დაედება საზღვარი.

გამხეცებული ცანკოვის მთავრობა სასტიკ შურს იძიებს მშრომელთა მასებზე სოფიის ტაძრის აფეთქებისათვის. მის მხეცობას არ უჩანს საზღვარი. მთელი ბულგარეთი უმაგალითო თეთრი ტერორის ბრჭყალებშია. განსაკუთრებით ცანკოვის მთავრობის რისხვა თავს დაატყდა კომუნისტურ პარტიას.

კომპარტია კანონ გარეშე არის გამოცხადებული.

ვინც კი შემჩნეულია მის წევრობაში მას იქვე აპატიმრებენ და სადმე მივარდნილ ადგილას ვერაგულად ასალმებენ სიცოცხლეს.

ბულგარეთის ფაშისტური მთავრობა დაადგა რევოლიუციონური ძალების ფიზიკურად განადგურების გზას. რომ უკეთესად მიაღწიოს თავის მხეცურ მიზანს, ის აწყობს კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელთა გასამართლებას.

გასამართლების მიზანია—დაამტკიცოს, რომ სოფიის აფეთქება იყო თითქოს კომუნისტების მიერ მოწყობილი. თუ რამდენათ ეს ცილისწამება შეეფერება სინამდვილეს ამას ჩვენ გვიჩვენებს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მოწოდება, სადაც სიტყვა სიტყვით ნათქვამია: „პარტიის ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ არის მეფე ბორისზე თავდასხმისა და სოფიის ტაძრის აფეთქების მონაწილე. მთავრობის ცილისწამებათა კამპანია, რომელიც ამტკიცებს თითქოს ყველა ეს საქმეები კომპარტიის და მიწად მომქმედთა კავშირის ხელებიდან გამოდიოდეს, გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის სურვილით გაამართლოს მუშების, გლეხების, კომუნისტებას და მიწად მომქმედთა კავშირის მომხრეების მასიური დახვრეტა".

ბულგარეთის კომუნისტური პარტია ბრძოლაში საკმაოდ გამობრძმედილი პარტიაა. მან კარგად იცის როდის მოუხმოს მშრომელთა მასებს აჯანყებისაკენ და როდის არა.

არსებულ პირობებში მას აზრადაც არ ქონდა შეიარაღებულ აჯანყების მოწყობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ამისათვის ვინაიდან სათანადო ობიექტიური პირობები არ იყო.

რაც შეეხება პარტიზანულ მოძრაობას და სოფიის ტაძრის აფეთქებას—ეს შედეგია იმ საშინელი მძაფრი ტერორის, რომელიც დაუშინა ცანკოვის ფაშისტურ მთავრობამ ბულგარეთის მშრომელთა მასებს.

მაგრამ რეაქციონურ მთავრობას მაინც სურს დაამტკიცოს ბრალდება, რომელიც მან წაუყენა კომპარტიას.

ის მიმართავს ყოველგვარ ხერხს, პროვოკატორების გამოყენებას, ყალბ დოკუმენტებს და სხვა საზიზღრობას. აი რას ამტკიცებს კომპარტიის მოწოდება: „სოფიის მთავრობის მტკიცება შესახებ იმისა, თითქოს კომპარტიას დაენიშნოს აჯანყება არის მტკნარი სიცრუე, დამყარებული ყალბ დოკუმენტებზე, რომელიც, როგორც ეს საქვეყნოთ გამოირკვა, შეთხზულია რუს მონარქისტების—გუმანსკის და დრუჟელოვსკის მიერ ბერლინში". აი რა გზით სცდილობს ცანკოვის მთავრობა დაამტკიცოს თავისი ყალბი ბრალდება და მით კიდევ უფრო გაადიდოს ხოცვა-ჟლეტა მხარეში.

ბულგარეთის ჯალათები საბრალმდებლო სკამზე მჯდომ კომუნისტებს ცხადია სასტიკ განაჩენს გამოუტანენ.

რის შემდეგ ფაშისტები მეტის გაფთრებით განაგრძობენ სისხლის ღვრას. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი.

საერთაშორისო მუშათა კლასი ვერ შეურიგდება ბულგარეთის მშრომელთა მასების ხოცვა ჟლეტას. მის დახმარებით ბულგარეთის მუშები და გლეხები შესძლებენ თავაშვებული ბურჟუაზიული რეაქციის ფრთების შეკვეცას.

# ახალი რადიო-ამბები

## ბულგარეთის კომპარტიის განცხადება.

**ბრალდება, თითქოს კომუნისტები ბულგარეთის აჯანყებას აწყობდენო განგებ შეთხზულია.**

„ბულგარეთის კომპარტიის საზღვარ-გარეთ მყოფი წარმომადგენლობა პარტიის ცეკას სახელით შემდეგს აცხადებს ბულგარეთის უკანასკნელ ამბების შესახებ:

„კომპარტიას არავითარი აჯანყება არ დაუნიშნავს ბულგარეთში. ბულგარეთის მთავრობის მტკიცება აჯანყების მოწყობის შესახებ კომუნისტების მიერ—ტყუილია, რომელიც აგებულია ბერლინში მყოფ რუს მონარქისტებისა-გუმანსკისა და დრუჟელოვსკის მიერ შეთხზულ ყალბ ცნობებზე.

ბულგარეთის მთავრობას ეს ცილისწამების კამპანია დასჭირდა იმიტომ, რათა გაემართლებია თავისი სისხლიანი ტერორი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

პარტიზანული მოძრაობა, აფეთქება და სხვა ასეთები გამოწვეულია მთავრობის სასტიკი ტერორით.

მხოლოდ გამხეცებულ ბოროტ-მომქმედთა მთავრობის გამოცვლა და მშრომელთა გათელილ უფლების აღდგენა ააშორებს ბულგარეთს სისხლიან ანარქიას.

კომპარტია, როგორც წინად, ეხლაც მოუწოდებს მშრომელებს მასიურ ბრძოლისაკენ ზემოაღნიშნულ მიზნების განსახორციელებლად.

კომპარტიას იმედი აქვს, რომ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკისა და იტალიის მუშები, რომელთა მთავრობები პირდაპირ თუ არაპირდაპირ მხარს უჭერდენ სოფიის ჯალათებს, თავიანთი ენერგიული გამოსვლებით შეუძლიათ კიდევ გაადარჩინონ ათასობით მუშებისა და გლეხების სიცოცხლე და დაეხმარონ მათ ცანკოვის სისხლიანი რეჟიმისაგან განთავისუფლებაში".

## რკპ-ს ცეკას პლენუმი.

რკპ-ს ცეკას პლენუმმა 30 აპრილს უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა რუძუტაკის მოხსენება რკინის გზის ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ და დაადგინა დანიშნულ იქნას ამ საკითხის დასამუშავებლად ცეკას 10 წევრისაგან შემდგარი კომისია.

კოგანოვიჩმა გააკეთა მოხსენება ცეკას კომისიის მუშაობის შესახებ პარტიაში შესულ და ახლად შემავალ მუშათა შორის. პლენუმმა მოიწონა კომისიის მუშაობა და დაადგინა დაშლილ იქნას ის.

მე-14-ე პარტიული ყრილობის მოწვევა გადაწყვეტილ იქნა მიმდინარე წლის ნოემბრის შუა რიცხვებისთვის.

ვინაიდან კოგანოვიჩი არჩეულია კომპარტიის ცეკას მთავარ მდივნად, პლენუმმა გაანთავისუფლა ის ცეკას მდივნობიდან და რკპ-ს ცეკას მეხუთე მდივნად დანიშნა ბუბნოვი.

## უკრაინის კომპარტიის ცეკას პლენუმის დადგენილება უკრაინიზაციის შესახებ.

უკრაინის კომპარტიის ცეკას პლენუმმა გამოიტანა რეზოლიუცია უკრაინიზაციის შესახებ, რომელიც აღნიშნავს რომ პარტიულ პროფესიონალურ აპარატის უკრაინიზაციას დიდი დაბრკოლება და, ზოგიერთ ადგილებზე, პასიურობა გადაეღობა წინ მუშებისა და პარტიის წევრების მხრივ. პარტიის უმეტესობამ ჯერ კიდევ ვერ შეისწავლა საფუძვლიანად უკრაინული ენა, რაიც უქადის საბჭოთა აპარატის დაშორებას პარტიისაგან.

ამიტომ უკრაინის კომპარტიის ცეკას პლენუმი აუცილებელ საჭიროდ სთვლის მიმართულ იქნას მთელი ღონისძიება უკრაინული ენის სათანადოდ შესასწავლად და გატარებულ იქნას მთელ შინა-პარტიულ ორგანიზაციაში უკრაინიზაცია.

ძველი პარტიულმა კადრებმა უნდა შეისწავლონ უკრაინული ენა. მთელი პარტგანათლება უნდა ტარდებოდეს უკრაინულ ენაზე.

პარტიის უკრაინიზაცია დასრულებულ უნდა იქნას 1926 წლის იანვრისათვის.

## საფრანგეთის ჯარების შეტევა მაროკოში.

დასავლეთ ფრონტზე აჯანყებული რიფები საკმაოდ გამაგრებული არიან. ცენტრში საფრანგეთის ჯარებმა გასწმინდეს რაიონები აჯანყებულებისაგან და დაიკავეს სიმაღლეები.

უკანასკნელ ბრძოლებში ფრანგებმა დაჰკარგეს 4 ოფიცერი და 12 ჯარის-კაცი. აჯანყებულებმა დაჰკარგეს 500 კაცი.

## ბელგიაში გრძელდება სამინისტროს კრიზისი.

**მოსალოდნელია პარლამენტის დათხოვნა.**

ბელგიის სამინისტროს კრიზისის გაჭიანურებამ ნერვები აუშალა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომლის აზრით მოსალოდნელია პარლამენტის დათხოვნა.

## ბენეში გაემგზავრა მცირე ანტანტის კონფერენციაზე.

5 მაისს ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბენეში გაემგზავრა მცირე ანტანტის კონფერენციაზე.

## 101 გლეხის გასამართლება.

21 მაისს პოლონეთში დაიწყება დიდი პროცესი. პასუხისგებაშია მიცემული ვოლინის გუბერნიის 101 გლეხი, რომელთაც ბრალად ედება აჯანყების მომწყობ ორგანიზაციის წევრობა.

## წითელი არმია და კავშირი მუშებსა და გლეხებთან.

ჩვენ ხშირათ ვლაპარაკობთ წითელი არმიის კავშირზე მუშებსა და გლეხებთან. დღემდის ეს კავშირი ყველგან მოიკოჭლებს. მიზეზი ამისა არის ის, რომ, ჩვენ ამ საკითხს უდგებით ძალიან მშრალათ და ზერელეთ. რაში გამოიხატება დღეს ეს კავშირი? იგზავნება მუშებისა და გლეხების კრებებზე სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები, ხშირათ მიდის მთელი უჯრედი, თუ ძალები იქნა გაუმართავენ მათ წარმოდგენას და ისევ უკან დაბრუნდებიან.

აი ამით ამოიწურება მთელი კავშირი. მოგვცემს თუ არა ასეთი კავშირი რაიმე ნაყოფს? ცხადია არა.

როგორი კავშირია საჭირო, რომელიც გამოიღებს სათანადო ნაყოფს?

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამომუშავებულ იქნას მუშაობის წინასწარი გეგმები წითელი არმიისა და მუშების და გლეხების ურთი-ერთ კავშირის შესახებ.

ხშირათ მუშებისა და გლეხების კრებებზე უნდა კეთდებოდეს მოხსენებები სამხედრო ტეხნიკაზე, სოფლის მეურნეობაზე, მუშათა ცხოვრებაზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე და სხ. ხშირათ უნდა მოეწყოს წითელ არმიელების მიერ ქარხნების, და მუშების და გლეხების მიერ ყაზარმების დათვალიერება.

უნდა იმართებოდეს სათანადო შინაარსიანი წარმოდგენები სოფლათ გლეხობისათვის, საწარმოო ადგილებში მუშებისათვის და იქ სადაც არის წითელი არმიის ნაწილები—წითელი არმიელებისათვის. ამას თანავე ერთად სასურველია თუ წარმოდგენები გაიმართება სამივეს შეერთებული ძალით.

სისტემატიურათ უნდა ეწყობოდეს მოხსენებები მუშებისა და გლეხების კრებებზე ტერ. ნაწილების ამოცანების შესახებ და სხ. ვფიქრობთ ასეთი ღონისძიების გატარება მოგვცემს დადებით შედეგს და ამით უფრო ადვილათ დაუკავშირებთ ერთმანეთს წითელ-არმიას, მუშებსა და გლეხებს.

მეთაური ნ. წულაია.

# ტფილისის გარნიზონის ქართული ნაწილების უპარტიო წითელ არმიელთა მე-4 კონფერენცია.*)

## 1-ლი სხდომა

კონფერენციის სხდომა გაიმართა 4 მაისს წითელ-არმიელთა ცენტრ. კლუბში.

სხდომამ დაამტკიცა, წინა დღით, რუსულ ნაწილებთან ერთად არჩეული პრეზიდიუმის შემადგენლობა 13 კაცისაგან შემდგარი, აირჩია სამდივნო და სამანდატო კომისია.

**მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.**

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. მათითაიშვილი.

იგი ვრცლათ შეეხო ამჟამად შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობას და დაწვრილებით დაუსურათა ის კონფერენციას.

მოხსენების დასასრულ, მომხსენებელს, მისცეს შეკითხვები, რაზედაც ყველამ მიიღო ამომწურავი პასუხი.

**რეზოლიუცია.**

მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ: ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში, ბულგარეთში და მთელ რიგ სახელმწიფოებში შექმნილი მდგომარეობა გამოწვეული მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკით, გვავალებს ჩვენ ვიყოთ პროლეტარიატთან ამ ბრძოლაში და... „ტფილისის გარნიზონის უპარტიო წითელ არმიელები ფიცსა ვსდებთ, ერთ გულათ დავიცვათ და ფხიზლათ ვიდგეთ ს. ს. ს. რ. სადარაჯოზე და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვას შევალიოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე“.

**სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.**

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჯაფარიძე.

მომხსენებელი აღნიშნავს სას.-სამ. გადასახადის ნიშვნელობას და აღნიშნავს რომ საზოგადოთ გადასახადების საქმის მოგვარებაზეა ბევრათ დამოკიდებული სახელმწიფოს მდგომარეობაც.

შემდეგ ამბობს, თუ როგორ გაანაწილა მთავრობამ ეს გადასახადი, შეჩერდა მოუსავლიანობაზე, იმაზე თუ რატომ შეიცვალა სასურსათო ანუ ნატურით გადასახადი ფულით გადასახადზე და სხვა.

დასასრულ, მომხსენებელს მისცეს აუარებელი შეკითხვები, რაზედაც ის ყველას აძლევდა ამომწურავ პასუხს.

## მეორე სხდომა.

**მოხსენება საზამთრო და საბანაკო პერიოდებში მუშაობის შესახებ.**

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. გარსიაშვილი.

**ჯარის მიზანი საზოგადოთ.**

საზოგადოთ, ამბობს მომხსენებელი, ჯარის მიზანია ამა თუ იმ ქვეყნის დაცვა გარეშე თუ შინაური მტრებისაგან, მაგრამ იმპერიალისტურ ჯარს აქვს კიდევ სხვა მიზნებიც: ეს სხვა ქვეყნების დაპყრობა თავის ბურჟუაზიის სასარგებლოთ და სხვების დასაჩაგრავათ. წითელი ჯარი ამ მხრივ რადიკალურათ განსხვავდება იმპერიალისტური ჯარებისაგან. მაგრამ, რომ ჩვენი ჯარი იდგეს თავის სიმაღლეზე ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენ მოვემზადოთ, ვისწავლოთ და ცოდნა შევიძინოთ.

**ზამთრის მუშაობა.**

ჩვენს მუშაობაში ძლიერ შეგვიშალა ხელი ცუდმა და სუსხიანმა ზამთარმა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ზამთრის პერიოდის მუშაობა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ. აღსანიშნავია რომ ჩვენი წითელ არმიელები ძლიერ გავარჯიშდენ და ჩვენ პირდაპირ განსაცვიფრებელ შედეგებს მივაღწიეთ სროლის საქმეში.

შემდეგ ორატორი ფართოდ შეჩერდა აგრეთვე წითელი არმიის

**საბანაკო პერიოდის**

მუშაობაზე და აღნიშნა მთელი რიგი ღონისძიებებისა. აგრეთვე ის მიზნები, რომელიც უნდა დაისახოს ჩვენმა წითელ ჯარმა ბანაკობის ხანაში მუშაობის დროს.

**კამათი.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს წითელ არმიელმა ქანთარიამ, ხაიზეშავამ, კურსანტმა ლოლომაძემ და სხვ. მომხსენებელმა ყველას გასცა შესაფერი პასუხი.

**ამხ. შ. ელიავას სიტყვა.**

კონფერენციაზე სიტყვით გამოდის, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა.

— ამხანაგებო, ამბობს ის — მე არ ვაპირებ აქ თქვენ გელაპარაკოთ რაიმე გარკვეულ, ან და უფრო სწორად რომ ვსთქვათ, განსაზღვრულ საკითხზე. მე ვაპირებ თქვენთან საზოგადო ხასიათის საუბარს

ამხ. ელიავა მოკლეთ აღნიშნავს შემდეგ, შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის სირთულეს და ამბობს:

—დღეს თქვენი კონფერენცია მიმდინარეობს სწორედ მაშინ, როდესაც დიდი ყურადღება ექცევა ჯარის მატერიალურად უზრუნველყოფას. ამავე დროს ეს არის ხანა ევროპის ბურჟუაზიის მოღონიერებისა. ამ ჟამად აღსანიშნავია ორი ფაქტი: ერთი—გერმანიაში ჰინდენბურგის პრეზიდენტათ არჩევა და მეორე—ბულგარეთში სოფიის ტაძრის აფეთქება.

შემდეგ ორატორი განმარტავს საფრანგეთის და მთელი რიგი სხვა რესპუბლიკების მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ

**წითელი არმია მზად უნდა იყოს**

ყოველგვარ მოსალოდნელობათა შესახვედრათ. სხვა და სხვა ბურჟუაზიული ქვეყნები განიარაღების მაგიერ უფრო და უფრო იარაღდებიან. ამერიკა აძლიერებს თავის ფლოტს. ევროპა—აზია—ამერიკის კონტინენტებზე იარაღის ჟღარუნი ისმის და აი აქ ჩვენ უნდა დავისახოთ მიზნათ ჩვენი წითელი არმიის გაძლიერების საქმე.

დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ ეს დროც ეხლა უნდა მოვახმაროთ ჯარის გაძლიერებას, აქ ჩვენთვის დიდი დახმარება შეუძლია აღმოგვიჩინოს ჩვენს გლეხობას, ამიტომ ეხლა უფრო მეტი ვიდრე ოდესმე ყურადღება უნდა მიექცეს ლოზუნგს „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“.

**ყველაფერი ქვეყნის აღორძინებისათვის.**

საბჭოთა ქვეყნების აღორძინება საუკეთესო საბუთია ჩვენი საგარეო სიძლიერის. სახელმწიფოს გამაგრება შიგნიდან და გარედან—აი რა უნდა იყოს ყველა ჩვენთაგანის მოვალეობა.

წითელ არმიელთა შესაფერისად მომზადების საქმეს აქ შეუძლია ჩვენ დიდი სიძლიერე შეგვმატოს და ხელისუფლებაც ამ მხრივ მიმართავს თავის ყურადღებასო—დაასრულა ამხ. შ. ელიავამ.

**შეკითხვები.**

მოხსენების შემდეგ დამსწრეებმა, ამხ. მომხსენებელს მისცეს აუარებელი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებლის მაგიერ პასუხი გასცა № დივიზიის სამხ. კომისარმა ამხ. არ. კვირიკაძემ.

**ამხ. კორკის სიტყვა.**

მეოთხე მორიგ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა კ. წ. დრ. არმიის სარდალმა ამხ. კორკიმ.

მან აღნიშნა, რომ ზამთრის პერიოდში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ და საჭიროა მომავლისათვის გაკვეთილის მისაღებათ გადავავლოთ თვალი ჩვენს წარსულ ნამუშევარს.

1-ლი ეს შემოდგომის გაწვევა, მეორე წესდებების არ ქონება, მესამე სახელმძღვანელოების უქონლობა და სხვა.

ორატორი აღნიშნავს თუ რა ნაკლი არსებობდა წარსული მუშაობის ჟამს და როგორ უნდა გამოვასწოროთ ჩვენ იგი მომავლისათვის.

**რაში ვართ სუსტი.**

ამხ. კორკი განაგრძობს, რომ ფიზკულტურაში ჩვენ ჯერ სუსტები ვართ და ეს საქმე ჯარის ნაწილებში უნდა გამოკეთდეს. წვევამდელების მომზადების საქმეც მოიკოჭლებს და ამასაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. გვაქვს სხვა ნაკლიც, მაგრამ ყველაფერს ამა ჩვენ ადვილათ დავსძლევთ რადგანაც საზოგადო მონდომება ყველაფერს შესძლებს.

**კონფერენციის დახურვა.**

**ამხ. კვირიკაძის სიტყვა.**

კონფერენციის დახურვის წინ, კონფერენციას მოკლე სიტყვით მიმართა ამხ. არ. კვირიკაძემ. მან აღნიშნა კონფერენციის ნაყოფიერი მუშაობა.

„გამოირკვა—ამბობს ის, რომ ჩვენ ბევრი რამ გაგვიკეთებია, ბევრი გვქონია ამ საქმიანობაში დადებითიც და უარყოფითი მხარეებიც. თქვენ დაამტკიცეთ აქ, რომ ჩვენ შეგვიძლია ნაკლთა გამოსწორება, რაც წაიყვანს წითელ არმიას მომავალი განმტკიცებისა, აღორძინებისა და ცოდნის შეძენისაკენ.

—გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას! ვაშა, ქართულ წითელ ლაშქარს!“

დაუსრულებელმა ვაშამ და ტაშის ცემამ დაფარა ამხ. კვირიკაძის სიტყვა.

5 მაისს საღამოს კონფერენცია დაიხურა.

*) რედაქციისაგან: სხვა და სხვა ტეხნიკურ მაზეზების გამო ანგარიშს დაგვიანებით ვათავსებთ.

# სამხედრო საქმე

## საბანაკო სწავლების ექვსი საფეხური.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქვეითა ჯარის ინსპექცია მომავალ საბანაკო პერიოდში ისახავს სწავლების ექვს საფეხურს:

პირველი არის განყოფილების საბრძოლო მომზადება—12 დღე;

მეორე—მწყობრის მომზადება—24 დღე;

მესამე—ასეულის მომზადება—14 დღე;

მეოთხე—ათასეულის მომზადება—8 დღე;

მეხუთე—დივიზიის მომზადება (მანევრები)—10 დღე: სულ 80 სამოსწავლო დღე, ე. ი. 4 თვე; თვეში საშუალოდ 20 სამოსწავლო დღე.

თვითეულ საფეხურში დასრულებულ უნდა იქნას მომზადება იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი დარჩეს ადვილად გადასვლა შემდეგი საფეხურის მეცადინეობაზე.

საბრძოლო მომზადება მდგომარეობს იმაში, რომ მეომარი სწავლობს იმ მოქმედებას, რომლის ჩატარებაც მას მოუხდება ომში.

ჯერ ასწავლიან მეომრებს,—როგორ უნდა იბრძოლონ განყოფილების შემადგენლობაში, შემდეგ გადადიან სწავლებაზე მწყობრის შემადგენლობაში და ასე შემდეგ.

თვითეული სწავლების დროს ამა თუ იმ სიდიდის შემადგენლობას ეძლევა განსაზღვრული საბრძოლო ამოცანა, მაგალითად რომელიმე უბნის დაცვა-მოგერიება დაზვერვა, მტრის მიერ დაკავებულ რაიონზე შეტევა და სხვა. თვითეულ საფეხურში მეცადინეობა შეიცავს სწავლების ყველა განყოფილებებს.

მაგალითად განყოფილების საბრძოლო მომზადების დროს მეომრები სწავლობენ ადგილმდებარეობით სარგებლობას და ადგილობრივ საგნების გამოყენებას; სწავლობენ ხანდაკობას, შენიღბვას, ბრძოლის ველზე თვალდევნებას, ეცნობიან კავშირისა და ძიება—ზვერვის ხერხს, სადაც ექცევა ყურადღება არა მარტო იმას, რომ დაისწავლოს მეომარმა თავის ამხანაგებთან შეთანხმებით მოქმედება განყოფილებაში, არამედ თავისი მუშაობით ხელი შეუწყოს მათ საერთო ამოცანის ასრულებაში. ასევე, მწყობრის მომზადების დროსაც ტარდება სწავლების იგივე განყოფილებები, მაგრამ უფრო ფართე ფარგლებში, სადაც ნაწილდება მსროლელ და ტყვიამფრქვევის მწყობრთა მუშაობა.

შემდეგ ასეულისა და ათასეულის მომზადების დროს ზოგიერთი მეცადინეობა სწარმოებს ლეგიონის არტილერიასთან ერთად.

ეს შეერთებული მეცადინეობა აუცილებელი საჭიროა, ვინაიდან საბრძოლო გარემოებაში ასეულისა და ათასეულის მუშაობას ექნება ადგილი ლეგიონის არტილერიასთან.

ბოლოს, ლეგიონის მეცადინეობა ტარდება სხვა გვარი იარაღის ჯარებთან ერთად. აქ სწარმოებს მეომართა ურთი—ერთ გაცნობა და შეერთებული მოქმედების სწავლება.

ამ რიგად საზაფხულო სწავლება ტარდება განსაზღვრულ თანამიმდევრობით, იწყება განყოფილებიდან და თავდება მსხვილი ერთეულის მომზადებით როგორიც არის ლეგიონი; ლეგიონს თან ემატება სხვა გვარი იარაღის ჯარები; მთელი მეცადინეობა ტარდება მინდორში ისეთ გარემოებაში, რომელსაც ადგილი ექნება მხოლოდ ომში.

საბანაკო პერიოდი მთავრდება მანევრებით, რომლებითაც ერთის მხრივ თავდება მთელი საბრძოლო მომზადება, ხოლო მეორეს მხრივ ისინი იძლევიან შესაძლებლობას შეფასებულ იქნას, თუ როგორი მიღწევებია სწავლებაში ზამთრისა და ზაფხულის პერიოდის განმავლობაში.

# როგორი ტანისამოსია საჭირო ზაფხულზე ამიერკავკასიაში.

ცხელი ამინდების მოახლოება ამიერკავკასიის ბევრ ადგილებში დაჟინებით გვიკარნახებს, რათა დაჩქარებით განვიხილოთ საკითხი ამჟამად ჩვენს არმიაში არსებულ ტანისამოსის შესახებ.

ამ საკითხის შესახებ უკვე იყო მოთავსებული ამას წინად ჩვენს გაზეთში და აღნიშნული იყო ამიერკავკასიის ის პირობები, რომელიც გვიკარნახებდა ტანისამოსის ფორმის საკითხის გარჩევას.

ცხადია, მარტო „ტრუსიკების“-ს შემოღებით საქმე ვერ გათავდება, მით უმეტეს, რომ „ტრუსიკებს“ აქვს ზოგიერთი ნაკლი, რაც სამართლიანად იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთში ამხ. მალიარიკის მიერ.

„ტრუსიკებს“ შეუძლია მალიარიით დაავადმყოფება, ვინაიდან შიშველი ფეხები ადვილად დაიკბინება მალიარიის გამავრცელებელ კოღოების მიერ. ამ რიგად „ტრუსიკების“ შემოღება ჩვენს არმიაში არის ნახევარ-ზომა, რომელიც ვერ სჭრის მთლიანად მოცემულ საკითხს.

შემუშავებულ უნდა იქნას ტანისამოსის ისეთი ფორმა, რომელსაც შეეძლებოდეს კოღოებისაგან დაცვა, იყოს მსუბუქი, გამძლე, არ ავიწროებდეს მეომარს მოძრაობის დროს და არ ითხოვდეს დიდ ხარჯებს.

საჭიროა მივუთითოდ ტანსაცმელის იმ ფორმაზე, რომელიც შემოღებულია უცხოეთის არმიებში (იტალიაში), სადაც მთიანმა ადგილმა და სიცხემ მოითხოვა შეფარდებული ყოფილიყო ტანისამოსი მოცემული ქვეყნის გეოგრაფიულ-კლიმატიურ პირობებთან.

აუცილებლივ საჭიროა ეხლავე შევუდგეთ ჩვენი ტანისამოსის ფორმის განხილვას, მით უმეტეს, რომ მომარაგების ორგანოებში, როგორც ვიცით, ამ საკითხის გარშემო უკვე არის ერთგვარი მასალა და სამწყობრო ნაწილების წინადადებები.

სასურველია, რათა არმიის მომარაგების განყოფილებამ გამოსთქვას, თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ და გაუზიაროს მკითხველებს გაზ. „წითელი არმიელის“ საშუალებით ის მასალები, რომელიც მას მოეპოვება.

ჩვენ ვუცდით!

ი. ბარ.

# პროფესორ პაპოვის სახელობის რადიო-სადგური და სკოლა.

უმავთულო ტელეგრაფის გამოგონების 30 წლის თავზე რევსამხსაბჭომ დაადგინა სოკოლნიკის სამხედრო რადიო-სადგურს მოსკოვში და ბალტიის ფლოტის ელექტრო-რადიო-სკოლას უწოდოს უმავთულო ტელეგრაფის გამომგონებელის, პროფესორ პაპოვის სახელობის სკოლა და რადიო-სადგური.

# პანევმა მიულოცა ჰინდენბურგს.

პოლონეთის მთავრობამ პირველად მიულოცა ჰინდენბურგს პრეზიდენტობა, მიუხედავად იმისა, რომ ანტანტა მოითხოვდა მისი პასუხის გებაში მიცემას ვილგელმსა და ლიუდენდორფთან ერთად ომის წესების დარღვევისათვის.

# არაყის ხდამ 44 ეზო იმსხვერპლა.

სოფელ ხმელნიკში (ივანოვო-ვოზნეს.) არაყის ხდის დროს გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც გაანადგურა 44 ეზო; დაიწვა სახლები, შინაური საქონელი და დიდი ძალი სოოჯახო ინვენტარი.

ზარალი შეფასებულია 120.000 მანეთამდი.

# ძველი რუსული ფულის პოვნა.

სოფელ პოგორელოვოში (ნიჟნი ნოვგ. გუბ.) მიწის დამუშავების დროს იპოვნეს სამი თიხის ჭურჭელი, რომლებიც სავსე იყო ძველი რუსული ფულით. ფულების წონა უდრის ოთხ ნახევარ ფუთს.

# პარტიული ცხოვრება.

## მე-3-მე რაიკომი ჩვენთან.

**1-ლ ქ. მ. ლეგიონი.**

ა. წ. 25 აპრილს შესდგა 1-ლ ქ. მ. ლეგიონის და ტყავ-ტრესტის კომუჯრედების გაერთიანებული კრება. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მოხსენება მე-3-მე რაიკომის მუშაობის შესახებ ქართულად გააკეთა ამხ. პირადოვმა და რუსულად მე-3-მე რაიკომის მდივანმა ამხ. ვართაპეტოვმა. მომხსენებლებმა აღნიშნა რაიკომის მიღწევები სხვა და სხვა დარგში, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელებზე.

ამასთანავე ერთად აღნიშნეს, რომ სამოქალაქო კომუჯრედების კავშირი სამხედრო კომუჯრედებთან სუსტად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ტფილისის მთელი გარნიზონის ნაწილები მე-3-მე რაიკომის ფარგლებშია მოთავსებული, ერთი და იმავე უჯრედზე მიმაგრებულია 3-4 სამხედრო ნაწილი, რაც მუშაობას დიდად აფერხებს..

რაიკომში წევრად გაყვანილ ყოფილა 4-ხი პარტ-ამხანაგი სამხედრო უჯრედებიდან. ყოველ დღიურად მე-3-მე რაიკომი ისმენს მოხსენებებს და რაიკომიც უკეთებს მათ ინფორმაციულ მოხსენებებს.

შემდეგ შემოტანილ იქნა სათანადო პრაქტიკული წინადადებები:

1) ჩაითვალოს მიზანშეწონილად მუშებისა და სამხედრო კომუჯრედების მდივნების თათბირები რაზედაც, როგორც რაიკომის აგრეთვე თითოეულ კომუჯრედების მიერ წამოყენებულ საკითხებთან ერთად ხდებოდეს მუშაობისა და სამხედრო ორგანიზაციების მუშაობის ჯამის გაკეთება და მუშავდებოდეს გეგმები შემდეგ მუშაობისათვის.

2) მიზიდულ იქნას საიმედრო პარტ-ორგანიზაციიდან წარმომადგენლები რაიონულ სადელეგატო პარტ-კრებებზედ.

3) სარაიონო სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაკების თათბირებზედ მიზიდულ იქნას წარმომადგენლები ლეგიონიდან.

4) კეთდებოდეს რაიკომისა და ლეგიონის პარტ-ბიუროს მიერ ურთიერთ—საინფორმაციო მოხსენებები თავიანთი მუშაობის შესახებ.

5) ჩაითვალოს სასურველად რაიკომისა და ლეგიონის პარტ-ბიუროს მუშაობის გეგმების ერთ-ერთმანეთ შორის გაცნობა გაზიარება.

6) ვინაიდან ლეგიონის კომკავშირს და მუშათა ორგანიზაციის კომკავშირის ერთ-ერთ კომუჯრედის კავშირი და აგრეთვე მუშაობა ლეგიონის ქალთა შორის ჯერ კიდევ სავსებით არ არის მოგვარებული, ამიტომ რაიკომმა შემდეგი მუშაობისათვის გაითვალისწინოს ეს მომენტი.

7) რაიონის პარტ-კლუბის მუშაობაში მიზიდულ იქმნენ აგრეთვე სამხედრო ნაწილების პარტ-ამხანაგებიც.

8) რაიკომის მიერ დათვალიერების გზით ხდებოდეს გაცნობა ლეგიონში პარტ-პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობისა და გაუზიაროს ხოლმე ლეგიონის ორგანიზაციას გამოცდილება მუშათა ორგანიზაციის მუშაობის მაგალითებიდან.

9) ლეგიონის პარტ-ორგანიზაციამ კი აწარმოოს კონტაქტური მუშაობა რაიკომთან, მხოლოდ ლეგიონის პარტ-ორგანიზაცია არ შორდებოდეს პოლიტ-განყოფილების დირექტივებს.

სამხკორი ხ. იმნაიშვილი.

## მობილიზაცია ჩვენთან.

25 აპრილიდან სიღნაღის მაზრაში დაიწყო 1902 წელდაბადებულთა მობილიზაცია.

ჯერ კიდევ ადრე მთელ მაზრაში ჩატარებულ იქნა წინასწარი კამპანია მობილიზაციის შესახებ, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

როგორც კი გამოცხადდა მობილიზაცია, ახალგაზრდები ადგებოდენ სამობილიზაციო პუნქტებში თავიანთი ნებით. დეზერტირობას ადგილი არ ჰქონია. გამოცხადდა თითქმის 100 პროც. ახალგაზრდობისა.

ახალგაზრდობის შეკრებისთანავე გაიმართა მათთან საუბარი წითელ არმიის აღმშენებლობისა და მისი ამოცანების შესახებ.

იყო შემთხვევები, რომ ზოგიერთი ახალგაზრდები ითხოვდენ აუცილებლად წაეყვანათ წითელ არმიაში.

მიღებულ წითელ არმიელები განაწილებულ იქნენ ტერიტორიალურ და ძირითად ნაწილებში.

ახალწვეულების სულიერი განწყობილება საუცხოვოა.

დ. ჭანკვეტაძე.

## ჩვენი საქმიანობა.

**მე-5-ე ლეგ. პირველი ასეული.**

პირველი ასეულის პირველ ოცეულის მფრქვევ ოცეულის წრეში, წვევამდელები დიდი მონდომებით შეუდგენ სწავლის შესწავლას.

მეთაურები კმაყოფილი არიან მეცადინეობის შედეგებით, რადგან ყველა წვევამდელები ენერგიულად ეკიდებიან თავის საქმეს.




სამხედრო მეცადინეობის გარდა წვევამდელებში სხვა სახის მუშაობაც დამაკმაყოფილებლად სწარმოებს.

ხშირად ვაწყობთ შაბათობას. ამ უკანასკნელად დიდი შაბათობა მოვაწყვეთ ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ. შამოგვიერთდენ მცხოვრებლებიც.

პოლიტსაათებში სისტემატიური მეცადინეობაა.

ხელმძღვანელები გასაგებიენით და ვრცლად აშუქებენ ყველა საკითხებს.

გვაქვს ყოველ კვირეული კედლის გაზეთი; მისი თანამშრომლები უმეტესად წვევამდელებია.

წერტზე დაარსებულია აგრეთვე დრამატიული წრე, რომელიც ამ ახლო მომავალში გამართავს წარმოდგენების მთელ რიგს.

პირველად განზრახულია „მუშა მგოსანის“ დადგმა; პიესა დაიდგმება მარტო ჩვენი წვევამდელების ძალებით.

სამხკორი შ. ბ.

## წიგნის კამპანია.

**პირველი ლეგიონი.**

სამშაბათს 5 მაისს პირველ ლეგიონში ჩატარებულ იქნა წიგნის კამპანია. ლეგიონის კლუბში დაიდგა 5 მოქმედებიანი ინსცენიროვკა „წიგნი და წიგნი“. პირველი მოქმედება გამოხატავს წიგნისადმი უსაზღვრო სიყვარულს, მეორეში—ძველი თავადებისა, მღვდლებისა და გენერლების აგიტაცია წიგნის წინააღმდეგ, მაგრამ წითელ-არმიელის ერთი ფეხის დაკვრა და ყველა ბნელი ძალები ერთბაშათ განადგურდება. მესამე მოქმედებაში წიგნის გამარჯვება და ბნელი ძალების საუკუნო დასამარება. მეოთხე მოქმედებაში პარტერი და მისი მასიური სცენა, და მეხუთე მოქმედება კი დაკავშირებული იყო მეოთხეზედ. პარტერიდან ამოდიოდენ წითელ-არმიელები, სცენაზედ მოწყობილ სამკითხველოში და ღებულობდენ სამკითხველოს გამგის განმარტებას.

ინსცენიროვკა მოკლე და სხარტული აღმოჩნდა. ასეთი დაინტერესება ჩვენ წითელ-არმიელებს ჯერ არ ახსოვთ.

მეორე განყოფილებაში გამოვებული იქნა სახუმარო სცენები და კუპლეტები. თუმცა მეორე განყოფილებას არავითარი კავშირი არ ჰქონია წიგნის კამპანიასთან, მაგრამ მთელ საღამოს კარგი ელფერი მისცამან.

დასასრულს გაიმართა ცეკვათამაში.

საერთოდ ჩვენს ლეგიონში წიგნის კამპანია კარგად ჩატარდა და შეიძლება ითქვას, რომ წითელ-არმიელები საკმაოდ გაიმსჭვალენ კამპანიის მნიშვნელობით.

სამხკორი მათრახი.

## მოაწესრიგეთ საგუშაგოები.

**პირველი ლეგ. კომენდანტის საყურადღებოდ.**

ჩვენი ლეგიონის უმწყობრო გუნდის ეზოში არსებული საგუშაგოები სრულიად მოუწყობელი არიან. საყარაულო შენობაში არა გვაქვს უბრალო სკამიც კი, სხვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, როგორც მაგალითად საათი და სხვა საჭირო ნივთები.

განსაკუთრებით ძლიერ გვიჭირს უსაათობით.

გამრიცხებელს სულ სხვაგან უხდება სირბილი და დროს გაგება. ამასობაში გუშაგებიც იჩაგრებიან. თავის დროზე ვერ იცვლებიან და ხშირად უკმაყოფილოებასაც აქვს ადგილი.

დროა ჩვენი კომენდანტი სათანადო ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და მოაწესრიგებდეს საგუშაგოებს. ასე უთავბოლობა დაუშვებელია.

წ. არმ. კ. კიკნაძე.

## მივიწყებული ვართ.

**პირველი ლეგიონი.**

რვა თვე იქნება მას შემდეგ, რაც მესამე ლეგიონის ბატარეია გადმოყვანილი იქნა პირველ ლეგიონში. ამ ხნის განმავლობაში თითქმის სრულიად მივიწყებული ვართ. ჩვენთვის არ არსებობს კინო, თეატრი და ცირკი. არც ექსკურსიებზე დავყავართ სადმე.

ყოველ დღესასწაულის და აღლუმების დროს, ყოველთვის საგუშაგოზე ვდგევართ, მაგრამ როგორც კი მიიღებენ ლეგიონში ცირკის, თეატრის, ან კინოს ბილეთებს თვითონ ირიგებენ და მიდიან, ჩვენ კი არავის ვაგონდებით.

ლეგიონიდან ცოტა დაშორებული რომ ვართ იმიტომ უნდა ვიყოთ მივიწყებული?

ეს არ არის კანონიერი.

ჩვენც მოგვეცით საშუალება წავიდეთ თეატრებში და სხვა გასართობებში.

წაგვიყვანეთ ექსკურსიაზედაც.

წ. ა. ჯალისხეველი.

## თავის დროზე უნდა გვაცნობონ.

ამ რამოდენიმე კვირის წინად კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის პოლიტ—სამმართველოს მიერ განათლების მუშაკთა სახლში გახსნილა საექსკურსიო მეთოდის შესწავლის კურსები. ამ კურსებზე უნდა შეესწავლათ როგორც რუსული, ისე ქართული ნაწილების კლუბის მომუშავეებს საექსკურსიო მეთოდები; როგორ უნდა ეწყობოდეს მახლობელი და შორეული ექსკურსიები და სხ.

მართალია ჩვენს ასეულში არ არის კლუბი, მაგრამ ჩვენც ხშირათ გვიხდება საექსკურსიოთ წასვლა და ჩვენთვისაც აუცილებელი იყო დავსწრებოდით ზემოხსენებულ კურსების მეცადინეობას, რომელიც დაწყებულა ა. წ. 26 აპრილს. ჩვენმა ნაწილმა ტელეფონოგრამა მიიღო დაგვიანებით და როცა გამოვცხადდით კურსებზე, აქ მეცადინეობა უკვე დამთავრებული იყო.

კარგი იქნებოდა, რომ შემდეგში ასეთი რაიმე არ განმეორდებოდეს და თავის დროზე გვაცნობებდენ ყოველივეს.

სამხკორი შალაშინი.

## მიღებული გაზეთები სათანადოთ უნდა გამოვიყენოთ.

ყველა ნაწილებს მისდის „წითელი არმიელი“ და სხვა გაზეთები. იქ სადაც ამხანაგებს პოლიტიკური ცხოვრება საკმაოდ აინტერესებს ეს გაზეთები ამისთვის დიდ მასალას წარმოადგენენ და სათანადოდაც იყენებენ.

ზოგ ადგილას „გაზეთის მეგობართა წრეც“ კი არსებობს. ერთად არჩევენ გაზეთში მოთავსებულ საყურადღებო ცნობებს, სჭრიან და ცნობებისაგან აკეთებენ პლაკატებს, მართავენ საუბრებს გაზეთის მნიშვნელობაზე და ავ-კარგიანობაზე!..

მაგრამ ზოგ ნაწილებში, სამწუხაროდ, გაზეთები ან გვიან მიდის, ან მიდის დროზე, მაგრამ მეორე დღემდე შეკრული აწყვია (მაგალითად მეთაურთა სკოლაში და ზოგიერთ ნაწილებში)...

საჭიროა ყველა ნაწილებში მეტი ყურადღება მიექცეს გაზეთის გავრცელების საქმეს—მის კითხვასა და გამოყენებას!.

გაზეთისა და წიგნების მიზანშეწონილად გამოყენების საკითხი ჩვენი ზრდის საკითხია—ამიტომ ამას ყველა ამხანაგებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ!

მეტი.

## ღორებმა აგვიკლეს.

ქ. ოზურგეთში მდგომ № ათასეულში ყველაფერი წესრიგზეა, მხოლოდ ათასეულის ეზოს აქვს ჭიშკარი, რომლის გაკეთებაც ვერავის ვერ მოუფიქრებია.

ათასგვარ უბრალო რამეებზე იხარჯება ფული და აუცილებელი რამისთვის კი თავს არ იწუხებენ.

მთელი დღე და ღამე ეზო ღორებით არის სავსე და აბინძურებენ ეზოს.

ყოველ წუთში გვიხდება ეზოს დაგვა.

ასეთ არა სასურველ მოვლენებს საჭიროა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. მოგვაცილეთ ღორების ჯოგი.

ფეხ—მარდი.

## მაზრის მილიციის უფროსი ძალიან გვეხმარება რითაც შეუძლია.

ქიათურაში მდგომ № ასეულს ძალიან დახმარებას გვიწევს შორაპნის მაზრის მილიციის უფროსი ამხ. ა. ს. ვაშაძე. პირველ ხანებში მოგვცა თივა წვევამდელებს საწოლათ, სანამ ღამე ჩვენთან რჩებოდენ, გვათხოვა სამოსწავლო გაჭრილი შაშხანა თოფი და სასწორი ასეულის საჭიროებისათვის. ერთი სიტყვით როდესაც მივმართეთ რაიმე საჭიროებისათვის ყოველთვის თანაგრძნობით მოგვეგება.

ასეთი დამსახურებისათვის მას მადლობას ვუძღვნით.

ს. ნიშნიანიძე.

## კლუბში იშვიათად მივყევართ.

**მე-6-ე ლეგიონის 3-ე ათასეული.**

ჩვენი ათასეულის მდგომარეობა ამ ბოლო ხანებში ცოტა გამოკეთდა. წინა ხანებში კი ბევრ დაუდევრობას ჰქონდა ადგილი. ამ ჟამად მეთაურების მონდომებული მუშაობის მეოხებით ბევრი დეფექტები ჩამოვიცილეთ და ათასეული აშკარა გაჯანსაღების გზაზეა დამდგარი.

ათასეულს აქვს საკუთარი წიგნთ-საცავი, რომელიც მშვენივრად მოეწყო. წიგნებიც საკმაოდ მოგვეპოება და ჟურნალ გაზეთებიც სისტემატიურად მოგვდის.

მოწყობილი გვაქვს ლენინის კუთხეები, რომლებშიც თითქმის ყოველ საღამოობით იკრიბებიან არმიელები, კითხულობენ და ისმენენ საუბრებს.

ყველა ამ სიკეთესთან ერთად ერთ გარემოებას აქვს ადგილი,

რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ გამოსწორებას.

ვერ იქნა და ვერ ვერ მოეწყო საქმე ისე, რომ ხშირად დაიარებოდენ წითელი მოლაშქრეები კლუბში. ეს დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს და იმედია ჩვენი უფროსები რაც შეიძლება დაჩქარებით გამოასწორებენ ამ უკანასკნელ არა სასურველ მოვლენასაც.

წ. მ. გიორგი კიკვაძე.

# უცხოეთის არმიებში

**ინგლისი ემზადება „საჰაერო ომისთვის“.**

„ვეს მინსტერ—გაზეთის“ ცნობით, ინგლისის სამხედრო სამინისტრო ამ ჟამად აშენებს უზარმაზარ სატრანსპორტო ჰაეროპლან-ყუმბარმზიდავებს, რომლებსაც შეეძლებათ მიწაზე დაუშვებლად გაიარონ 3000 კილომეტრი მანძილი. ამასთანავე მზადდებიან ასეთივე მოცულობის ჰიდროპლანები. ჰიდროპლანებს რამოდენიმე დღე სულ თავისუფლად შეეძლიათ დაჰყონ გაშლილ ზღვაში.

ჰიდროპლანები აღჭურვილი იქნებიან პროჟექტორებით და ლუზებით.

ჰაეროპლანებზე მოთავსებულ მგზავრებს ექნებათ აგრეთვე საუკეთესო ხარისხის და მეტად საიმედო პარაშუიტები.

**ანტანტა იარაღდება.**

საფრანგეთში საიდუმლოდ სცდიან თვით—მფრენ—გამანადგურებელს, რომელიც ანვითარებს საათში 370 ვერსის სიჩქარეს.

ინგლისში მზადდება გამანადგურებელი „КЭБ“-ის სისტემის 1000 ცხენის ძალიანი მოტორით, რომელიც განავითარებს საათში 320 ვერსის სიჩქარეს.

იტალიაში ცნობილ ფირმის „ფიატის“ ქარხანაში მზადდება ისეთი თვითმფრენ-გამანადგურებელი, რომელიც წინასწარი გამოანგარიშებით გაივლის საათში 385 კილომეტრს.

**ფინეთი აწყობს აეროდრომებს.**

ფინეთის სამხედრო სამინისტრო უკვე შეუდგა ორი აეროდრომების აგებას—ვაზაში და კაუმავში. განსაკუთრებით დიდი სამხედრო მნიშვნელობის იქნა ვაზაში აგებული აეროდრომი, რომელიც ამავე დროს იქნება ჰიდროპლანების ბაზაც.

**ცეცხლი კრაკოვის (პოლონეთი) ჰაეროდრომზე.**

გამოურკვეველი მიზეზების გამო კრაკოვის აეროდრომზე გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც იმსხვერპლა ექვსი ჰაეროპლანი. პოლონეთის „ოხრანკამ“ ამის გამო დააპატიმრა ჰაეროდრომის სახელოსნოებში მომუშავე რამოდენიმე მუშა, რომლებსაც აბრალებენ ჰაეროპლანებისათვის ცეცხლის გაჩენას.

**ინგლისი-ინდოეთი.**

ლონდონში დაბრუნდა ინდოეთიდან დიდი ბრიტანეთის საჰაერო ვიცე მინისტრი; იმ მფრინავმა, რომელმაც ვიცე მინისტრი მიიყვანა ინდოეთში და შემდეგ ისევ უკან, ამ გაფრენით დაასრულა თავისი ფრენა 300.000 კილომეტრის მანძილზე.

# ასეულის მეკუჭნავე.

**მეკუჭნავის მნიშვნელობა ერთეულის ცხოვრებაში.**

როგორც ჩვენ დავინახეთ მეკუჭნავის მოვალეობა ასეულის ცხოვრებაში ყოფილა მართლაც დიდ მნიშვნელოვანი. რაც შეეხება ასეულის ქონების აღრიცხვას, შენახვას, გაფრთხილებას და მოვლას მეკუჭნავის მიერ, უნდა ვსთქვათ რომ, ერთეულის ორგანიზმში ასეულის მეკუჭნავე წარმოადგენს დასაწყის სამნეო უჯრედს, ასე რომ თუ ამ უჯრედმა შეაჩერა თავის მუშაობა, ეს გარემოება იქონიებს გავლენას ერთეულის სამნეო დარგის ყველა საფეხურებზე. თუ რომ არაა სწორი და ნამდვილი—აღრიცხვა და ანგარიშ-წარმოება ასეულში, მაშასადამე არც ერთეულის სამნეო ნაწილში იქნება ანგარიშები სწორი. თუ რომ ასეულის მეკუჭნავე უთავბოლოთ და დაუზოგველად ინახავს ქონებას, ეს თავის რიგზე გავლენას იქონიებს ასეულის წითელ-არმიელების საერთო მომარაგებაზე.

**მეკუჭნავის თანამდებობაზე სათანადო პირების შერჩევა.**

დასაწყისი სამნეო უჯრედი (ე. ი. მეკუჭნავე) უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს ყველასათვის სინამდვილის და თაოსნობის ნიმუში ყველა თავის მოვალეობის ასრულებაში, ამისთვის ასეულში მეკუჭნავის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა სწარმოებდეს წინდახედულობით და პიროვნების შერჩევით.

აქნობამდის ყველგან არაა მიქცეული სათანადო ყურადღება, ამ თანამდებობაზე წით. არმიელების დანიშვნის დროს, და არც შევხვედრილვართ, რომ მეკუჭნავეებათ ინიშნებოდენ წინასწარ მომზადებულნი პიროვნებანი. მომეტებულ შემთხვევებში მეკუჭნავებად ინიშნებიან ძველი ნამსახური წითელ არმიელები, ხანდახან თითქმის წერა-კითხვის არ მცოდნენიც, მაშინ როდესაც, როგორც ზევით დავინახეთ, მეკუჭნავე აწარმოებს ყოველნაირ ანგარიშებს და ჩაწერვას დავთრებში. ამნაირ პირობებში მეკუჭნავის არჩევას ხშირათ მოსდევს მთელი რიგი არსებითი ნაკლულოვანებებისა და ბოლოს და ბოლოს ასეულში არ სწარმოებს ანგარიშები, სამნეო ნაწილი აწეწილ-დაწეწილია, სურსათ სანოვაგე ფუჭდება და ილუპება, ტანისამოსი მიაქვს ყველას მიუხედავათ იმისა ეკუთვნით თუ არა, ნივთები. რომელიც იყო ხმარებაში დაწყსებულ ვადის განმავლობაში თავის დროზე სათანადოთ არ ინუსხვება და არ ირიცხება, ამის შედეგი კი არის ის, რომ ასეულის სამნეო ნაწილის ცნობების მიხედვით, ასეული ტანისამოსით უზრუნველყოფილია, სინამდვილით კი— ასეულის წითელ არმიელები თითქმის შიშველ-ტიტველნი არიან.

**რას უნდა მიექცეს ყურადღება ერთეულის დათვალიერებისას.**

ხშირია შემთხვევები, როდესაც უფროსთა შემადგენლობა, ერთეულის დათვალიერების დროს, ამჩნევს რა სამნეო დარგში სხვა და სხვა ნაკლულოვანებას, იმის მაგიერ რომ მიაქციოს ყურადღება სამნეო დარგის დასაწყის უჯრედების (მეკუჭნავების) მომზადებაზე და მიუთითოს ვისაც ჯერ არს, დანიშნონ ამ თანამდებობაზე რჩეული პიროვნებები,—ყველა დეფექტებზე ბრალს სდებს მხოლოდ ერთეულის სამნეო დარგის ადმინისტრაციას.

როგორც წინასწარ მზადდებიან უნცროს მეთაურთა შემადგენლობა, აგრეთვე, ერთეულის სამნეო დარგის გამგეობის მიზნით, უნდა წინასწარ მომზადებულ იქმნას კადრი უნცროს სამნეო მუშაკებისა--(მეკუჭნავეები). როდესაც მეკუჭნავე წინასწარ მოემზადება და შემდეგში კი დაიკავებს თავის თანამდებობას, მაშინ ყველა ზემოხსენებული მოვალეობანი მის მიერ შესრულებულ იქმნება სწორედ და მიზანშეწონილადდა არ იქნება დაშვებული რაიმე შეცდომები.

ნ. შანშიაშვილი.

# საქართველოს სახ. კომისართა საბჭოში.

**ორმაგი ხელფასი.**

სახკომსაბჭომ საჭიროთ ცნო იარა ზემოსვანეთში მყოფ განათლების მუშაკთ მისცეს ორმაგი ჯამაგირი.

**აფხაზეთის შუამდგომლობა.**

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა აფხაზეთის სახკომსაბჭოს შუამდგომლობა აფხაზეთის 5 მაზრაში მმაჩი-ს (ზაგს) განყოფ. გახსნის შესახებ.

**ბორჯომის ქარხანა.**

სახკომსაბჭომ მოიწონა მთავრობის მიერ დაარსებული კომისიის მოხსენება ბორჯომის წიფლის სატკეჩე ქარხნის შესახებ.

**წითელ არმიელთა დახმარებლად.**

ამხ. შ. მათიკაშვილის, კუჭაიძის, ლლონტის და ვ. ხუტულაშვილის შემადგენლობით შემდგარ კომისიას დაევალა გამო ახოს თანხები წითელ-არმიელთა ოჯახების დასახმარებლათ.

# ამბები სოფლებიდან.

**ალმასკომის საქმიანობა.** ფოთის ალმასკომმა შეაკეთა და აამაღლა ფოთში, რუსთაველის ქუჩა.

**გზის შეკეთება.** სოფ. ტოლაში (ქვემო რაჭა) გლეხებმა გადასწყვიტეს გაიღვიძონ და საერთო ძალით შეაკეთონ სამთო გზები.

**სახერხი ქარხანა.** სოფ. კოლობნის (სენ. მაზრა) გლეხკომმა გადასწყვიტა გახსნას ადგილობრივ, ფურნე და სახერხი ქარხანა.

**ფოთის ელსადგური.** ელსადგურის მუშაობის გამო, ფოთის ალმასკომმა დაადგინა გაადიდოს სადგურის მუშათა შტატი.

**სოფლის გზები.** ახალციხის მაზრის, სოფელ ადიგენში სასოფლო გლეხკომის მეთაურობით, გლეხებმა შეაკეთეს ყველა სასოფლო გზები.

**ტყეების მოვლა.** სიღნაღის მაზრის ტყეების ინსპექტორად დაინიშნა სწავლული მეტყევე პ. გიორგაძე.

# ახალი ამბები.

**—ტერიტორ. ნაწილებისათვ-ს უფ და პოლიტ-შემადგენლობის გადასამზადებლად** ტფილისში, ქუთაისში და გორში 10 მაისიდან იხსნება გადასამზადებელი კურსები.

**—საბინაო ამშენებლობისათვის.** ა. კ. ფინსახკომმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო მთავრობის წინაშე 550 ათასი მ.გაღებისა საქართველოში საბინაო ამშენებლობისათვის.

**—დახმარება ქვრივ-ობლებს.** ამ ჟამად დამხღვევი კ სა დახმარებას აძლევს 326 ქვრივს და ობოლს.

**—სამედიცინო წიგნები.** ჯანსახკომმა მიიღო დიდძალი სამედიცინო წიგნები გერმანიიდან.

**—წითელ არმიელთა ოჯახებისათვის** შეღავათების მიცემის შესახებ გამოცემულ კანონთს კრებულის ქართულ ენაზე გამოცემის წინადადება მისცა იუსტიციის კომისარიატს საქ. სახ. კომსაბჭომ.

**—საზოგადოებრივი სამუშაო.** შრომის ბირჟამ გაგზავნა არქივებში სამუშაოდ 36 უმუშევარი.

**—ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეებს.** გაცდენილი დღეების საფასურათ ტფ. დამზ. კასამ მისცა მიმდინარე წლის 1-ლ ნახევარში 144.427 მანეთი.

# ამოცანა № 16.

## აბა გამოიცანი?

ერთი კაცი მიერეკებოდა ვირებს. წინ შემოეყარა ახალგაზრდა ყმაწვილი და ის შეეკითხა ვირების პატრონს: რამდენ ვირს მიერეკებით. მევირემ უპასუხა: რომ მიუმატოთ ერთამდენი კიდევ, რამდენიც ამ ჟამად მყავს, შემდეგ კიდევ იმის ნახევარი, კიდევ იმის მეოთხედი რასაც ამის შემდეგ მივიღებდი და ბოლოს შენც რომ მიუმატო კიდევ მაშინ მეყოლება ასი ვირიო.

გასაგებია რამდენი ვირი ყოლია მევირეს?

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ჩაძირულ გემებიდან ნავთის ამოღება.**

აქამდე ჩაძირულ გემებიდან იღებდენ მხოლოდ ოქროს, რომელიც ბუნებრივად დიდ ღირებულებას წარმოადგენს. ამ ჟამად კი ჩაძირულ გემებიდან აპირებენ ნავთის ამოღებასაც.

მსოფლიო ომის დროს, როგორც ცნობილია გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ბევრი სავაჭრო გემები ჩასძირეს. ზოგიერთი მათგანი ჩაიძირენ სუსტად დაზიანებითაც, არტილერიის მოქმედებით. ასეთი გემების ორმაგი ძირი ისევ დაუზიანებლად არის დარჩენილი. ეს გარემოება კი საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ძირის ორმაგ კედლებ შორის მოთავსებული ნავთი, ისევ წმინდაა და შესაძლებელია მაშასადამე მისი ამოღება და წარმოებაში მოხმარება.

ამ ჟამად ინგლისში დღის წესრიგში სდგას ეს საკითხი. თუ რამდენად გამართლდება ეს შეხედულება მომავალი გვიჩვენებს; მაგრამ ერთი კი ცხადია, ინგლისის სანაპიროებთან ამ რამოდენიმე ხნის უკან ზღვის ზედაპირზე გამოჩენილი ნავთი აუცილებლად ზემოთ მოყვანილ შეხედულების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ამბობენ, რომ ეს ნავთი ამოვიდა ზღვის ზედაპირზე ნავთით დატვირთულ ჩაძირული გემის ზღვის ძირზე დაზიანების გამო.

**უახლესი ავტომობილები.**

ამ უკანასკნელ ხანებში საზღვარ გარეთის ფირმებმა გამოუშვეს მსუბუქი-მსწრაფლ მავალი სხვა და სხვა ფორმისა და კონსტრუქციის ავტომობილები.

ინჟენერების მთელი გულისყური იქეთკენ არის მიპყრობილი, რომ სირბილის დროს ავტომობილი რაც შეიძლება ნაკლებად განიცდიდეს ჰაერის წინაღობვას —წინააღმდეგობას. გამოშვებულ ავტომობილებში ყურადღებას იქცევს ეგრედ წოდებული „ჰაერის მჭრელი“.

ამ მანქანაზე ჯომარდმა კემბელმა აიღო სიჩქარის მსოფლიო რეკორდი. ავტომობილი გაშვებული იქნა ტატნობ ქვიშნარ ზედაპირზე. კემბელმა ამ ავტომობილით ერთ საათში გაირბინა 152 ვერსი. ავტომობილის მთელი მექანიზმი მოთავსებულია მის წინა ნაწილში, უკანა ნაწილი კი წოწისებური —წამახულია, რომ სირბილის დროს ადვილად შამოიჩეკოს ჰაერის ტალღები.

ეს ავტომობილი პირველად დაამზადეს ამერიკაში.

**30 მილიონი ოქროს ფრანკი ჰაეროპლანით.**

ინგლისის ოთხი ჰაეროპლანით შვეიცარიის სახელმწიფო ხაზინაში ჩამოტანილი იქნა ლონდონიდან 30 მილიონი ოქროს ფრანკი.

**100 ახალი ჰაეროპლანი.**

ამერიკის საჰაერო სამინისტრომ შეუკვეთა 100 ახალი ჰაეროპლანი, რომლებიც დამზადებული იქნებიან ამ უახლოეს ხანში. ჰაეროპლანებს ექნებათ საათში 200 კილომეტრის სიჩქარე და შეეძლებათ დედამიწის ზედაპირიდან შვიდი ვერსის სიმაღლეზე ფრენა.

ამავე სამინისტრომ მარტინ კომპანის—ავიო ქარხნებს შეუკვეთა 75 ყუმბარმზიდავი ჰაეროპლანები.

# ჩვენი ფოსტა.

**პირველი ლეგიონის** უფშემადგენლობის მიერ სოფლებისათვის და ქალაქში გაწერილ გაზეთებს უთავდებათ ვადა 15 მაისს.

გაზეთის გაგზავნის გაგრძელებისათვის მსურველებმა უნდა აცნობონ რედაქციას ზემოდ აღნიშნულ რიცხვამდე და სათანადო საფასურიც უნდა შამოიტანონ.

**მეორე საარტლეგიონს** პირველი აპრილიდან გეგზავნებათ ნისიათ 15 ც. გაზეთი. ფული დაპირებისამებრ უნდა შამოგეტანათ 15 აპრილამდე, მაგრამ ჯერ არ მოგვიღია. რედაქციის კანტორა გთხოვთ შემოიტანოთ აღნიშნული ფული, თორემ შეგიწყდებათ გაზეთების გზავნა.

**ამხ. ვ. მეგრელს და ა. ღარიბაშვილს.** თქვენი წერილები „არტლეგიონის წვევამდელთა ცხოვრებიდან“ და „კახეთის ამბებზე“ არ გამოგვადგა.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.